ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N403

(გამარტივებული შესყიდვა ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს1'' ქვეპუნქტისა და ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტის საფუძველზე)

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2023 წლის 2 თებერვალს ქ. თბილისში.

შემსყიდველი: შპს ,,აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია", მისი დირექტორის ლაშა ციმაკურიძის სახით.
საინდეტიფიკაციო კოდი: 405007200
მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. #70, ტელეფონი +995 032 2 22 65 33
საბანკო რეკვიზიტები: სს "თიბისი ბანკი"
ანგარიშის #GE72TB7905236080100001, ბანკის კოდი TBCBGE22

მიმწოდებელი: შპს ,,ჩემი ოფისი", მისი დირექტორის გიორგი კახუაშვილის სახით.
საინდეტიფიკაციო კოდი: 401997112
მისამართი: თბილისი, აკაკი ბელიაშვილის N9, 574031740
საბანკო რეკვიზიტები: სს ,,პროკრედიტ ბანკი, ბანკის კოდი MIBGGE22
ანგარიშის N GE61PC0133600100065770

ერთი მხრივ _ შემსყიდველი, და მეორე მხრივ _ მიმწოდებელი, ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულებისათვის.
1.3. „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6. ,,საქონელი" მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

შპს ,,აქტივების მართვისა და განვითარების კომპანიის" 2023 წლის საკუთარი შემოსავლებიდან კომპანიის კუთვნილი კონსოლიდირებულ ტენდერს გარეთ შეძენილი პრინტერებისათვის **ტონერიანი კარტრიჯების** შეძენა; CPV კოდი - 30125100.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულებაა: **3000.00 ლარი.**

სამი ათასი ლარი და ნული თეთრი

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

3.2 ერთეული საქონლის ღირებულება განსაზღვრულია ხელშეკრულების დანართში.
3.3 ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს, დაკავშირებულს საქონლის მიწოდებასთან და შემსყიდველის საკუთრებაში გადაცემასთან.

4. მხარეთა უფლება–მოვალეობები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) შემსყიდველს მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

ბ) განახორციელოს საქონლის მიწოდება წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში და ადგილას.

4.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს მოსთხოვოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

4.3 შემსყიდველი ვალდებულია განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება.

4.4 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) მიმწოდებლისგან მოითხოვოს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროსა და ადგილას;

ბ) შეამოწმოს საქონლის ხარისხი;

გ) მონიტორინგის შედეგად მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობ(ებ)ის დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, მისცეს მას მითითება ვალდებულებ(ებ)ის დარღვევის გამოსწორების შესახებ ან შეწყვიტოს (არ განახორციელოს) მიმწოდებლის დაფინანსება.

5. ხარისხი

მიმწოდებელი პასუხს აგებს მიწოდებული საქონლის ხარისხზე, ხოლო შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის შემოწმება და თუ აღმოჩნდება უხარისხო (წუნდებული) საქონელი, მიმწოდებელი ვალდებულია შეცვალოს აღნიშნული საქონელი, ან დაუბრუნოს შემსყიდველს მისი ღირებულება.

6. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს მიწოდებული საქონლის ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს, ადმინისტრაციის მთავარ სპეციალისტს ნიკოლოზ რევაზიშვილს, რომელიც უფლებამოსილია ჩაატაროს ხელშეკრულების პირობების შესრულების ინსპექტირება.

6.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების დადასტურების მიზნით, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

6.3 საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების დადასტურების და ანაზღაურების მიღების მიზნით, შემსყიდველს წარუდგინოს შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია. ანგარიშსწორების სავალდებულო წინაპირობაა, მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად ანგარიშფაქტურის წარდგენა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

6.5 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება ადმინისტრაციის მთავარ სპეცისლისტს, ნიკოლოზ რევაზიშვილს.

7. ანგარიშსწორების წესი

7.1 საქონლის მიწოდების ანაზღაურება განხორციელდება ერთჯერადად, ფაქტობრივად მოწოდებული საქონლის შესაბამისად, ხელშეკრულების 6.4 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7.2 ანგარიშსწორების ვალუტა: ლარი;

7.3 ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო.

7.4 დაფინანსების წყარო: შპს ,,აქტივების მართვისა და განვითარების კომპანიის" 2023 წლის საკუთარი შემოსავლები.

8. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

8.1 საქონლის მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, კოსტავას ქ.N70

8.2 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2024 წლის 31 იანვრის ჩათვლით გარდა იმ შემთხვევისა, როცა ხელშეკრულება ვადაზე ადრე შეწყდება.

10. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

10.1 მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ კეთილსინდისიერად და ჯეროვნად _ ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას და შეთანხმებული ხარისხით. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.2 ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის შემთხვევის გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო, რომლის ოდენობა განსაზღვრულია ხელშეკრულებით.

10.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20% - ის ოდენობით.

10.4. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულებისათვის (მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების შემთხვევაში) შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02% - ის ოდენობით.

10.5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით.

10.6. ვალდებულების ნაკლიან შესრულებად ჩაითვლება მიწოდება საქონლის, რომელიც არ არის მხარეების მიერ შეთანხმებული ხარისხის მქონე, ან ასეთი შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, გამოსადეგი ჩვეულებრივი სარგებლობისათვის.

10.7. დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 მიმწოდებლის მიერ ,,ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების მოშლის შესახებ ვალდებულების დარღვევის გამოსასწორებლად მიმწოდებლისთვის წერილობითი ან ზეპირი შეტყობინების გზით მიცემული დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლისთანავე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აშკარაა, რომ დამატებითი ვადის დაწესებას აზრი არ აქვს ან ვალდებულების დათქმულ ვადაში შესრულება შემსყიდველის არსებით ინტერესს წარმოადგენს, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების დაუყოვნებლივ მოშლის შესახებ.

11.2 ხელშეკრულება შეიძლება ასევე შეწყდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს–მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული მხარეთა ნების გამოვლენასთან, შეცდომებსა და დაუდევრობასთან და გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი ან/და გამოწვეულია დაუძლეველი ძალის

დადგომით. ამასთან, აღნიშნული გარემოება მხარეთა მიერ შესაძლოა განხილულ იქნას, როგორც ფორს–მაჟორი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული გარემოებების დადგომა უშუალოდ უშლის ხელს მხარეთა მიერ ვალდებულებების შესრულებას.

12.3 ხელშეკრულების მიზნებისათვის ,,ფორს–მაჟორად" მიჩნეული შეიძლება იყოს საომარი ან საგანგებო მდგომარეობა, სტიქიური უბედურება, ეპიდემია, კარანტინი, საქართველოს მთავრობის მიერ გამოცხადებული მორატორიუმი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება და სხვა.

13. სადავო საკითხების გადაწყვეტა

13.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების გზით და ურთიერთშეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა საკითხების ფარგლებში.

13.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს, დავის გადაწყვეტის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

14. სხვა პირობები

14.1 ხელშეკრულებაში დამატებ(ებ)ის და/ან ცვლილებ(ებ)ის შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით და წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

14.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, რომლის ყოველი ელექტრონული ეგზემპლარი ორიგინალია.

15. მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველის მხრიდან

შპს ,,აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია"
დირექტორი

ირაკლი მუკნიაშვილი

Assets Management And Development Company LTD

Digitally signed by Assets Management And Development Company LTD
DN: cn=Assets Management And Development Company LTD, c=GE, o=Assets Management And Development Company LTD
Date: 2023.02.03 11:27:38 +04'00'

მიმწოდებლის მხრიდან

შპს ,,ჩემი ოფისი"

დირექტორი

გიორგი კახუაშვილი

My Office LLC

Digitally signed by My Office LLC
Date: 2023.02.03 11:17:59 +04'00'

ხელმოწერა:
მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ,,ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად.

დანართი

	პრინტერები	კატრიჯები	ერთ. ფასი
	ფერადი		
1	CANON I-SENSYS MF8330Cdn	CB/530/531/532/533	130
2	HP MFP 274	CF/400/401/402/403	140
3	CANON C2025 I	C-EXV34-C/Y/M/Bk	420
4	შავ-თეთრი		
5	RICOH SP 311		160
6	HP MF426dn	A226A	160
7	CANON MF4410	278/728	95
8	HP 1536dnf MFP	728/278	95
9	TOSHIBA STUDIO2006	T-2507E TOSHIBA	115
10	HP M15A	CF244A	125
11	CANON 244 dn	CF 283	95
12	HPM1132FP	85A	95
13	HP M127FN	CF283/737	95
14	CANON 2204 N	C-EXV42 TONER BLACK	125
15	CANON LBP 6670 dn	719/canon/	125
16	HP MFP 137fnw	W1 106 A	115

შემსყიდველის მხრიდან

შპს ,,აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია”
დირექტორი

ირაკლი მუკნიაშვილი

_____

მიმწოდებლის მხრიდან

შპს ,,ჩემი ოფისი“

დირექტორი

გიორგი კახუაშვილი

_____